საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზემო მაჩხაანი



ზემო მაჩხაანი, სოფელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის სამხრ.-აღმ. დაბოლოებაზე. თემის ცენტრი (სოფლები: ზ. მ., მირზაანი). ზ. დ. 700 მ, დედოფლისწყაროდან 20 კმ. 2,8 ათ. მცხ. (2002). შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან სოფელში აღსანიშნავია წმ. გიორგის, არმათიონის, მთავარანგელოზთა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიები; იაკობიანთ უბანში – ყველაწმინდის ეკლესია და ბენაანთ სათვალთვალო კოშკი; სოფლის მახლობელ მინდვრებში – ქვედაწყლისა და პატარა ელიას ეკლესიები.

ლიტ.: მ ა მ ი ს ა შ ვ ი ლ ი დ., ს ტ უ რ უ ა ზ., კარგი თაოსნობა, «ძეგლის მეგობარი», 1974, №35.